შპს „აქვა გეო“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 13
5. ძირითადი საშუალებები 18
6. მარაგები 19
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 19
8. ფული და ფულის ეკვივალენტები 21
9. საწესდებო კაპიტალი 21
10. სხვა რეზერვი 21
11. მიღებული სესხები 22
12. გადავადებული შემოსავალი 23
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 24
14. ამონაგები 24
15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 25
16. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები 25
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 25
18. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება 26
19. პირობითი ვალდებულებები 26
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 27
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 27
22. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 28

მმართველობის ანგარიშგება 36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „აქვა გეოს“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „აქვა გეოს”** (შემდგომში - „კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული აღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების“ მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები წარმოდგენილია 50,603,340 ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 41,373,964 ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, აქტივების გამოყენების უფლებასთან, არამატერიალურ აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წლის სრულმა ზარალმა შეადგინა 8,765,687ლარი და 5,921,457 ლარი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის, დაგროვილმა ზარალმა შეადგინა 62,551,551 ლარი და 53,785,864 ლარი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქიონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხიდან გამომდინარე..

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგრიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2021 წელი

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „აქვა გეოს“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „აქვა გეოს“** (შემდგომში - „კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული აღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების“ მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები წარმოდგენილია 50,603,340 ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 41,373,964 ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, აქტივების გამოყენების უფლებასთან, არამატერიალურ აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წლის სრულმა ზარალმა შეადგინა 8,765,687ლარი და 5,921,457 ლარი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის, დაგროვილმა ზარალმა შეადგინა 62,551,551 ლარი და 53,785,864 ლარი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქიონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას "პირობითი მოსაზრების საფუძველი" ნაწილში აღწერილი საკითხიდან გამომდინარე..

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგრიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2021 წელი

შპს „აქვა გეო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019*	1 იანვარი 2019*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	50,314,282	41,037,556	43,240,495
აქტივების გამოყენების უფლება		29,868	40,326	-
არამატერიალური აქტივები		259,190	296,082	136,565
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		-	-	156,770
		50,603,340	**41,373,964**	**43,533,830**
მოკლევადიანი აქტივები				
საგადასახადო აქტივი		78,634	-	-
მარაგები	6	4,509,842	4,138,536	3,495,041
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,517,712	2,995,071	2,906,646
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	3,005,417	4,407,164	597,305
		10,111,605	**11,540,771**	**6,998,992**
სულ აქტივები		**60,714,945**	**52,914,735**	**50,532,822**
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	95,787,544	86,552,365	82,894,264
სხვა რეზერვი	10	3,696,043	3,696,043	3,696,043
დაგროვილი ზარალი		(62,551,551)	(53,785,864)	(47,864,407)
სულ კაპიტალი		**36,932,036**	**36,462,544**	**38,725,900**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	11	12,341,156	6,729,473	7,979,955
გადავადებული შემოსავალი	12	1,586,358	1,683,295	1,781,450
		13,927,514	**8,412,768**	**9,761,405**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	11	5,747,294	6,072,748	826,463
საიჯარო ვალდებულებები		31,793	41,951	-
გადავადებული შემოსავალი	12	96,937	96,937	95,720
საგადასახადო ვალდებულებები		-	83,377	46,418
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,979,371	1,744,410	1,076,916
		9,855,395	**8,039,423**	**2,045,517**
სულ ვალდებულებები		**23,782,909**	**16,452,191**	**11,806,922**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**60,714,945**	**52,914,735**	**50,532,822**

*წინა საანგარიშგებო პერიოდები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ზურაბ გოზალიშვილი

ფინანსური დირექტორი _____ მანანა საღარაძე

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „აქვა გეო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019*	1 იანვარი 2019*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	50,314,282	41,037,556	43,240,495
აქტივების გამოყენების უფლება		29,868	40,326	-
არამატერიალური აქტივები		259,190	296,082	136,565
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		-	-	156,770
		50,603,340	**41,373,964**	**43,533,830**
მოკლევადიანი აქტივები				
საგადასახადო აქტივი		78,634	-	-
მარაგები	6	4,509,842	4,138,536	3,495,041
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,517,712	2,995,071	2,906,646
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	3,005,417	4,407,164	597,305
		10,111,605	**11,540,771**	**6,998,992**
სულ აქტივები		**60,714,945**	**52,914,735**	**50,532,822**
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	95,787,544	86,552,365	82,894,264
სხვა რეზერვი	10	3,696,043	3,696,043	3,696,043
დაგროვილი ზარალი		(62,551,551)	(53,785,864)	(47,864,407)
სულ კაპიტალი		**36,932,036**	**36,462,544**	**38,725,900**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	11	12,341,156	6,729,473	7,979,955
გადავადებული შემოსავალი	12	1,586,358	1,683,295	1,781,450
		13,927,514	**8,412,768**	**9,761,405**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	11	5,747,294	6,072,748	826,463
საიჯარო ვალდებულებები		31,793	41,951	-
გადავადებული შემოსავალი	12	96,937	96,937	95,720
საგადასახადო ვალდებულებები		-	83,377	46,418
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,979,371	1,744,410	1,076,916
		9,855,395	**8,039,423**	**2,045,517**
სულ ვალდებულებები		**23,782,909**	**16,452,191**	**11,806,922**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**60,714,945**	**52,914,735**	**50,532,822**

*წინა საანგარიშგებო პერიოდები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ზურაბ გოზალიშვილი

ფინანსური დირექტორი _____ მანანა საღარაძე

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019 *
ამონაგები	14	14,379,487	16,046,885
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	15	(8,652,744)	(10,674,105)
საერთო მოგება		**5,726,743**	**5,372,780**
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა		402,981	(77,253)
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	16	(5,070,112)	(5,226,122)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(5,212,041)	(4,309,504)
საოპერაციო ზარალი		**(4,152,429)**	**(4,240,099)**
საპროცენტო ხარჯები	11	(1,754,980)	(1,337,436)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა		(2,858,278)	(343,922)
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(8,765,687)**	**(5,921,457)**

*წინა საანგარიშგებო პერიოდები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ
1 იანვარი 2019	**82,894,264**	**3,696,043**	**(47,864,407)**	**38,725,900**
კაპიტალის შევსება	3,658,101	-	-	**3,658,101**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(5,921,457)	**(5,921,457)**
31 დეკემბერი 2019	**86,552,365**	**3,696,043**	**(53,785,864)**	**36,462,544**
კაპიტალის შევსება	9,235,179	-	-	**9,235,179**
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	(8,765,687)	**(8,765,687)**
31 დეკემბერი 2020	**95,787,544**	**3,696,043**	**(62,551,551)**	**36,932,036**

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	2020	2019*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	**(8,765,687)**	**(5,921,457)**
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,908,252	2,568,949
საპროცენტო ხარჯი	1,754,980	1,337,436
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	102,466	74,133
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება	(30,759)	(181,582)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	764,942	318,276
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა	2,858,278	343,922
	(407,528)	**(1,460,323)**
შემცირება (ზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:		
მარაგები	(1,136,249)	(368,089)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	439,020	723,204
(შემცირება) ზრდა შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:		
საგადასახადო ვალდებულებები	(162,011)	36,959
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(52,329)	242,918
საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები პროცენტის გადახდამდე	**(1,319,097)**	**(825,331)**
გადახდილი პროცენტი	(1,116,196)	(658,891)
საიჯარო ვალდებულებების პროცენტის დაფარვა	(2,149)	(5,357)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(2,437,442)**	**(1,489,579)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,701,505)	(1,308,364)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხა	83,740	122,247
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(175,137)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(1,617,765)**	**(1,361,254)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:		
სესხის დაფარვა	(622,395)	(615,187)
სესხის აღება	3,014,285	-
სესხის უზრუნველყოფის თანხის დაბრუნება	-	3,639,351
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	3,658,101
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	(28,074)	(45,616)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**2,363,816**	**6,636,649**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა (კლება)	**(1,691,391)**	**3,785,816**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისთვის	**4,407,164**	**597,305**
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	289,644	24,043
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**3,005,417**	**4,407,164**

*წინა საანგარიშგებო პერიოდები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

10-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „აქვა გეო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აქვა გეო“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 22 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204564113.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, მცხეთის რაიონი, ს. მისაქციელი. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „ინტელლეგენს ჰოლდინგ აგ“, რომლის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი არის თენგიზ ხარებავა. კომპანიის დირექტორია ზურაბ გოზალიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მინერალური და გაზირებული წყლის მოპოვება-ჩამოსხმა და რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზარზე. კომპანია აწარმოებს შემდეგი დასახელების წყლებს: „სნო“ და „კობი“. კომპანიას გააჩნდა 2 საწარმო 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ს. მისაქციელისა და ს. კობის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 350 და 340 ადამიანი, შესაბამისად.

კომპანიის საწესდებო კაპიტალის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-9 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი საღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი), რომელიც, ასევე, არის კომპანიის სამუშაო ვალუტა.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია დგას გარკვეული ფინანსური სირთულეების წინაშე, რაც აღწერილია ქვემოთ:

- კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალი, რომელიც 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 62,551,551 ლარსა და 53,785,864 ლარს, შესაბამისად;
- კომპანიას აქვს წლის სრული ზარალი 8,765,687ლარისა და 5,921,457 ლარის ოდენობით 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შესაბამისად;
- კორონა ვირუსის - კოვიდ-19-ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კორონავირუსმა გავლენა მოახდინა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე და ეფექტურობაზე 2020 წლის პერიოდში. გლობალური პანდემიის ბუნება ასევე ბადებს ეჭვს მომავალზე, რადგან გაურკვეველია, თუ რა შედეგებს მოიტანს იგი ახლო მომავალში და როგორ ბერკეტებს დააწესებს სახელმწიფო მასთან საბრძოლველად. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ პანდემიით გამოწვეული კრიზისი დასრულდება და მომავალ პერიოდებში კომპანია დაუბრუნდება ნორმალურ საოპერაციო საქმიანობას.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირობადობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, შემდეგი გარემოებების გამო:

- კომპანიის დამფუძნებელი გააგრძელებს, საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის დაფინანსებას კაპიტალში შემონატანების გზით; როგორც 21-ე შენიშვნაშია მოცემული, კომპანიას მოპოვებული აქვს ოფიციალური წერილი დამფუძნებლებისგან, რომლის მიხედვითაც ის მზადაა დამატებითი ფინანსური სახსრებით უზრუნველყოს კომპანია საჭიროების შემთხვევაში.
- კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები ჩამოუვარდება კომპანიის მოკლევადიან აქტივებს. მოკლევადიანი აქტივების მეტობა მოკლევადიან ვალდებულებებზე 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 256,210 ლარსა და 3,501,348 ლარს, შესაბამისად.
- როგორც 21-ე შენიშვნაშია მოცემული, კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში გაზარდა პროდუქციის ასორტიმენტი და შევიდა ახალ საექსპორტო ბაზრებზე, როგორიცაა უკრაინა, კანადა, აზერბაიჯანი, რაც გაზრდის გაყიდვებს და დადებითად აისახება კომპანიის შედეგებზე. გარდა ამისა, კომპანიამ მიმოიხილა 2021 წლის დაგეგმილი და რეალური ბიუჯეტები, რაც მოიცავს შემოსავლებს ორივე ძირითადი პროდუქტისგან, რის მიხედვითაც რეალური შესრულებები აჭარბებს დაგეგმილს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ის ზარალი, რაც კომპანიამ მიიღო 2020 წლის კოვიდ-19 გლობალური პანდემიის აფეთქებიდან, მნიშვნელოვნად განეიტრალდა 2020 წლის ბოლოსა და 2021 წლის რეალურად მიღებული შედეგებით.
- 2021 წლიდან საქართველოში ასევე აქტიურად ადმინისტრირდება კოვიდ-19 ვაქცინები, რომელიც საშუალებად აძლევს ქვეყანას, რომ შეამციროს დაინფიცირების რისკები და მაქსიმალურად მოძლიერდეს იმ კრიზისიდან, რაც მოიტანა 2020 წლის კოვიდ-19 პანდემიამ. შესაბამისად, ეს დადებითად მოქმედებს ასევე მოსახლეობის მხრიდან პროდუქტზე მოთხოვნის ზრდაზე. ეს ასევე ნათლად ჩანს 2021 წლის პირველი კვარტლიდან. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა ელოდება, რომ ეს დაეხმარება შესაბამის სექტორს, რომ განაგრძლოს საქმიანობა არსებითი შეფერხებების გარეშე, როგორიც იყო 2020 წლის პანდემიის აფეთქების საწყისი ეტაპი.

კომპანია მუდმივად აფასებს კოვიდ-19 გლობალური პანდემიის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე.

შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ლ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირების საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდს.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები -** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

2020 წელს კომპანიამ მოახდინა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვა, რის მიხედვითაც მოახდინა შენობა-ნაგებობებისა და მანქანა-დანადგარების და სხვა მოწყობილობების სასარგებლო მომსახურების ვადის გაგრძელება იმის მიხედვით, თუ რა პერიოდში მოელის მათგან ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ცვლილების ეფექტი სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოადგენდა ცვეთის ხარჯის შემცირებას 357,506 ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გაზომვისას კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით და ამისთვის იყენებს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მსდ-ის გასაზომად კომპანია აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება კომპანიის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანიამ გაითვალისწინა კოვიდ-19 გლობალური პანდემიის გავლენა მათი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დეტალები ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად, კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცვალოს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკი. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,005,417	4,407,164
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,020,750	2,449,392
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,779,908	1,708,429
მიღებული სესხები	18,088,450	12,802,221
საიჯარო ვალდებულებები	31,793	41,951

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშგებებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
  - საპროცენტო რისკი;
  - სავალუტო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,005,417	4,407,164
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,020,750	2,449,392
	5,026,167	**6,856,556**

კომპანია წარადგენს ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL”). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების” (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის.

სავაჭრო მოთხოვნების ზემოთ მოცემული თანხები შემცირებულია მათი გაუფასურების რეზერვის თანხებით. სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასანეიტრალებლად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში. ქვემოთმოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,779,908	-	-	**3,779,908**
საიჯარო ვალდებულებები	33,228	-	-	**33,228**
მიღებული სესხები	6,822,085	9,303,042	5,685,285	**21,810,412**
	10,635,221	**9,303,042**	**5,685,285**	**25,623,548**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,708,429	-	-	**1,708,429**
საიჯარო ვალდებულებები	43,682	-	-	**43,682**
მიღებული სესხები	7,183,878	-	6,743,590	**13,927,468**
	8,935,989	**-**	**6,743,590**	**15,679,579**

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმომქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი მიღებულ სესხებსა და საიჯარო ვალდებულებებზე. კომპანიამ განსაზღვრა ზღვრული საპროცენტო განაკვეთი საიჯარო გადასახდელებისთვის და დაიანგარიშა როგორც საშუალო-შეწონილი განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი ძირითადად არის ფიქსირებული, ზოგიერთ სესხზე კი ცვალებადი.

საპროცენტო განაკვეთის 1%-იან ცვლილებას საპროცენტო ხარჯზე შესაძლოა ჰქონდეს შემდეგი ეფექტი:

	2020		2019	
	საპროცენტო განაკვეთი +1%	საპროცენტო განაკვეთი -1%	საპროცენტო განაკვეთი +1%	საპროცენტო განაკვეთი -1%
მოგება/(ზარალი)	(180,885)	180,885	(128,022)	128,022

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	673,197	2,185,931	146,289	**3,005,417**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,088,744	932,006	-	**2,020,750**
	1,761,941	**3,117,937**	**146,289**	**5,026,167**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	3,997,221	-	14,091,229	**18,088,450**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	993,135	981,854	1,804,919	**3,779,908**
საიჯარო ვალდებულებები	7,714	24,079	-	**31,793**
	4,998,070	**1,005,933**	**15,896,148**	**21,900,151**
ღია საბალანსო პოზიცია	**(3,236,129)**	**2,112,004**	**(15,749,859)**	

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,584,801	89,771	2,732,592	**4,407,164**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,414,751	1,034,457	184	**2,449,392**
	2,999,552	**1,124,228**	**2,732,776**	**6,856,556**

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	4,074,443	5,373,199	3,354,579	**12,802,221**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,033,127	586,365	88,937	**1,708,429**
საიჯარო ვალდებულებები	31,252	10,699	-	**41,951**
	5,138,822	**5,970,263**	**3,443,516**	**14,552,601**
ღია საბალანსო პოზიცია	**(2,139,270)**	**(4,846,035)**	**(710,740)**	

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2020	**აშშ დოლარის გავლენა**		**ევროს გავლენა**	
	ლარი/აშშ დოლარი +20%	**ლარი/აშშ დოლარი -20%**	**ლარი/ევრო +20%**	**ლარი/ევრო - 20%**
მოგება/(ზარალი)	422,401	(422,401)	3,149,972	(3,149,972)

2019	**აშშ დოლარის გავლენა**		**ევროს გავლენა**	
	ლარი/აშშ დოლარი +20%	**ლარი/აშშ დოლარი -20%**	**ლარი/ევრო +20%**	**ლარი/ევრო - 20%**
მოგება/(ზარალი)	(969,207)	969,207	(142,148)	142,148

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

სამართლიანი ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას.

საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას.

კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**678,884**	**22,648,740**	**27,773,519**	**2,206,442**	**1,222,002**	**816,159**	**55,345,746**
შემოსვლა	-	-	993,405	228,620	36,653	523,503	**1,782,181**
გასვლა	(495,789)	-	(357,392)	(378,530)	(38,501)	-	**(1,270,212)**
გადატანა დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	1,339,662	-	-	-	(1,339,662)	**-**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**183,095**	**23,988,402**	**28,409,532**	**2,056,532**	**1,220,154**	**-**	**55,857,715**
შემოსვლა	123,868	348,671	11,380,777	97,525	64,444	-	**12,015,285**
საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაცია	-	-	158,038	-	-	-	**158,038**
გასვლა	-	-	(803,397)	(225,317)	(102,310)	-	**(1,131,024)**
გადატანა დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	-	-	-	-	-	**-**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**306,963**	**24,337,073**	**39,144,950**	**1,928,740**	**1,182,288**	**-**	**66,900,014**
დაგროვილი ცვეთა							
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(2,265,214)**	**(7,986,248)**	**(1,033,998)**	**(819,791)**	**-**	**(12,105,251)**
ცვეთის დარიცხვა	-	(936,279)	(1,652,946)	(342,350)	(153,801)	-	**(3,085,376)**
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	86,824	246,543	37,101	-	**370,468**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(3,201,493)**	**(9,552,370)**	**(1,129,805)**	**(936,491)**	**-**	**(14,820,159)**
ცვეთის დარიცხვა	-	(811,817)	(1,594,340)	(303,915)	(132,867)	-	**(2,842,939)**
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	802,241	172,815	102,310	-	**1,077,366**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(4,013,310)**	**(10,344,469)**	**(1,260,905)**	**(967,048)**	**-**	**(16,585,732)**
საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**183,095**	**20,786,909**	**18,857,162**	**926,727**	**283,663**	**-**	**41,037,556**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**306,963**	**20,323,763**	**28,800,481**	**667,835**	**215,240**	**-**	**50,314,282**

ისეთი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომელთა საბალანსო ღირებულებაც ნულია და კომპანია ისევ იყენებს წარმოადგენს 3,302,503 ლარს და 4,573,328 ლარს 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

2020 წლის ცვეთის ხარჯიდან 560,302 ლარის (2019: 1,029,742 ლარი) ღირებულების ცვეთა შესულია წარმოებული მარაგების თვითღირებულებაში. 2020 წლის განმავლობაში კომპანიის საწარმოო დანადგარები არ მუშაობდა სრული დატვირთვით(რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კოვიდ-19-ის გავრცელებამ), რის გამოც ცვეთისა და სხვა ზედნადები ხარჯების ნაწილი არ გადანაწილდა წარმოებული მარაგების თვითღირებულებაზე. დანდაგარების მოცდენის ცვეთის წილი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში 1,051,449 ლარის ოდენობით. ინფორმაცია სესხების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ქონების შესახებ იხილეთ მე-11 შენიშვნაში.

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეული და მასალები	3,635,900	3,390,978
მზა პროდუქცია	577,991	555,293
სხვა	295,951	192,265
	4,509,842	**4,138,536**

2020 წლის განმავლობაში პერიოდის ხარჯად აღიარებულია ჯამურად 764,942 ლარის თვითღირებულების მარაგი, რომელიც სრულად ჩამოიწერა.

2019 წლის განმავლობაში პერიოდის ხარჯად აღიარებულია ჯამურად 318,276 ლარის თვითღირებულების მარაგი. აქედან, ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოფასდა 206,126 ლარის, ხოლო სრულად ჩამოიწერა 112,150 ლარის ღირებულების მარაგი.

მზა პროდუქცია პროდუქტების ტიპების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
წყლის პროდუქტი პოლიეთილენის შეფუთვით	433,198	313,951
გაზირებული წყალი პოლიეთილენის შეფუთვით	90,119	122,587
გაზირებული წყალი მინის შეფუთვით	29,101	77,162
წყლის პროდუქტი მინის შეფუთვით	14,533	30,372
არომატიზირებული წყალი	11,040	11,221
	577,991	**555,293**

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აწარმოებდა არაგაზირებულ მინერალურ წყალ "სნოს", "სნოს" ლიმონის არომატით და გაზირებულ მინერალურ წყალს "კობი".

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,353,416	1,765,300
მიწის გაყიდვიდან მისაღები თანხა	850,278	856,008
სხვა მოთხოვნები	91,168	64,502
ფინანსური მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(274,112)	(236,418)
	2,020,750	**2,449,392**
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	496,962	545,679
	2,517,712	**2,995,071**

იმისათვის, რომ განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს ფასს 9-ის შესაბამისად. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსაზღვრისთვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

კოვიდ-19 პანდემიის უპრეცენდენტო ხასიათის და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელი გავლენის გამო კომპანიამ ხელახლა შეაფასა გაუფასურების მოდელი და დაეყრდნო ხელმძღვანელობის მსჯელობას მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს კოვიდ-19-ის ეფექტს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. ჩატარებული ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება დაკვირვებად და შიდა მონაცემებს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთის ცვლილება განსხვავებულია იმ სეგმენტებისთვის, სადაც ოპერირებენ კომპანიის მომხმარებელები.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსაზღვრისთვის, კომპანიამ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში შემავალი ფინანსური აქტივები, კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებით, გამიჯნა სეგმენტებად მათ საქმიანობაზე კოვიდ-19-ით გამოწვეული ნეგატიური გავლენის მაჩვენებლის მიხედვით. ყველა მოთხოვნა დაკლასიფიცირდა ისეთ მოთხოვნებად, რომლებსაც ახასიათებთ კოვიდ-19-ით გამოწვეული ნეგატიური გავლენის საშუალო მაჩვენებელი და მომავალში მოსალოდნელია მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობის საშუალო ტემპით გაუმჯობესება.

გარდა მაკროეკონომიკური ფაქტორებისა, ხელმძღვანელობამ ასევე გაითვალისწინა, კომპანიის მომხმარებელთა ცალკეული სეგმენტის ინდივიდუალური მახასიათებელი, სხვა დამატებითი გარემოებები და რისკ ფაქტორები, რომელიც ასახავს ისეთ გავლენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთზე, რასაც არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური ფაქტორები.

შესაბამისი კორექტირებების გათვალისწინებით, კომპანიამ განაახლა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საკრედიტო ზარალის განაკვეთების ცვლილების ეფექტმა გაუფასურების რეზერვზე შეადგინა 10,554 ლარი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<31 დღე	31-60 დღე	61-120 დღე	121-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1.15%	3.45%	11.50%	57.50%	80.50%	100%	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	1,855,285	106,307	73,818	25,714	40,537	193,201	**2,294,862**
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	21,336	3,668	8,489	14,786	32,632	193,201	**274,112**

2019 წელს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნებოდა კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენდა კომპანიის მომხმარებლებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<31 დღე	31-60 დღე	61-120 დღე	121-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	2,268,919	122,690	69,662	19,525	38,982	166,032	**2,685,810**
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	22,689	3,681	6,966	9,763	27,287	166,032	**236,418**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2020	2019
1 იანვარი	**236,418**	**162,285**
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	208,856	114,054
წინა პერიოდში ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	(106,390)	(39,921)
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	**102,466**	**74,133**
საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	(64,772)	-
31 დეკემბერი 2020	**274,112**	**236,418**

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული	170,499	3,234
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	502,633	2,908,837
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,332,285	1,495,093
	3,005,417	**4,407,164**

კომპანიას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "საქართველოს ბანკის" მოთხოვნამდე ანაბარზე განთავსებული აქვს 1,547,549 ლარი და 3,418,979 ლარი, შესაბამისად.

კომპანიის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ B (მოკლევადიანი) რეიტინგი.

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

9. საწესდებო კაპიტალი

მეწილეები	%	31 დეკემბერი 2020	%	31 დეკემბერი 2019
სს „ინტელლეგენს ჰოლდინგ აგ“	100.00%	95,787,544	100.00%	86,552,365
	100.00%	**95,787,544**	**100.00%**	**86,552,365**

2020 წელს შპს "აქვა გეოს" 100%-იანი წილის მფლობელმა, სს"ინტელლეგენს ჰოლდინგ აგ-მ" აიღო სასესხო ვალდებულება შპს "პალმს ჰოლდინგისგან" და შპს „მედეოს ჰოლდინგისგან“. მიღებული თანხა შეიტანა კომპანიის კაპიტალში ჯამური ოდენობით 9,235,179 ლარი (2,810,000 აშშ დოლარი), რის მიხედვითაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ოდენობა წარმოადგენს 95,787,544 ლარს (20,552,600 აშშ დოლარი და 12,094,265 ევრო).

2019 წელს კაპიტალი გაიზარდა 3,658,101 ლარით (1,356,400 აშშ დოლარი), რის მიხედვითაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ოდენობა წარმოადგენს 86,552,365 ლარს (17,742,600 აშშ დოლარი და 12,094,265 ევრო).

10. სხვა რეზერვი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა რეზერვების ნაშთი 3,696,043 ლარის ოდენობით წარმოადგენს სარგებელს, რომელიც წარმოიქმნა დაკავშირებული მხარისგან უპროცენტო სესხის მიღების შედეგად. დაკავშირებული მხარისგან საბაზროზე დაბალ პროცენტში მიღებული სესხების ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა, ისევე როგორც რესტრუქტურიზებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა, აღიარდა კაპიტალში სხვა რეზერვის მუხლში.

11. მიღებული სესხები

				31 დეკემბერი 2020	
	%	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
სს "საქართველოს ბანკი" - აკრედიტივი	4% +EURIBOR	ევრო	27.12.2021	5,131,719	-
სს "საქართველოს ბანკი" - აკრედიტივი	4% +EURIBOR	ევრო	10.01.2022	-	4,520,617
სს "საქართველოს ბანკი"	12%	ლარი	26.11.2029	266,444	3,691,601
სს "საქართველოს ბანკი"	6LIBOR +5%	ევრო	26.11.2029	309,955	3,105,008
სს "საქართველოს ბანკი"	6LIBOR +5%	ევრო	14.09.2022	-	1,023,930
ფინანსური იჯარა				39,176	-
				5,747,294	**12,341,156**

					31 დეკემბერი 2019* გადაანგარიშებული	
	ნომინალური %	ეფექტური %	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
შპს „პალმს ჰოლდინგი“	0%	12.0%	აშშ დოლარი	31.12.2020	6,017,050	-
სს „საქართველოს ბანკი“	12.0%	12.0%	ლარი	26.11.2029	13,811	3,941,762
სს „საქართველოს ბანკი“	6LIBOR +5%	6LIBOR +5%	ევრო	26.11.2029	1,001	2,723,844
ფინანსური იჯარა					40,886	63,867
					6,072,748	**6,729,473**

*წინა საანგარიშგებო პერიოდები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების ვალუტის და ვადიანობის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები (ჯამური ღირებულებით - 18,049,274 ლარი და 6,680,418 ლარი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად) უზრუნველყოფილია კომპანიის მოძრავი და უძრავი ქონებით (ჯამური ღირებულებით - 50,314,282 ლარი და 41,037,556 ლარი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად).

კომპანიას არ გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებით.

კომპანიას სს „საქართველოს ბანკისგან“ დამტკიცებული აქვს საკრედიტო ხაზი 10,000,000 აშშ დოლარის (ან მისი ექვივალენტის სხვა ვალუტაში) ოდენობით. აქედან, 3,100,000 მილიონი ევროს სესხი დამტკიცებულია აკრედიტივისთვის, რომლიდანაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით აკრედიტივისთვის ათვისებული აქვს 2,845,000 ევრო, ხოლო სესხის სახით 154,500 ევრო.

11. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები, შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგი სახით:

31 დეკემბერი 2019	დაკავშირებული მხარეები	სს "საქართველოს ბანკი" - აკრედიტივები	სს "საქართველოს ბანკი"	ფინანსური იჯარა	სულ
ფულადი ცვლილებები	**6,017,049**	**-**	**6,680,417**	**104,753**	**12,802,219**
სესხის მიღება	2,072,511	-	941,774	-	**3,014,285**
პროცენტის გადახდა	-	(462,075)	(636,963)	(17,158)	**(1,116,196)**
ძირის გადახდა	(555,220)	-	-	(67,175)	**(622,395)**
არაფულადი ცვლილებები					
აკრედიტივის ათვისება	-	8,508,861	-	-	**8,508,861**
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	576,029	320,401	625,436	17,158	**1,539,024**
შეფასების ცვლილება ნაადრევად დაფარვის გამო	215,956	-	-	-	**215,956**
საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაცია	-	145,290	12,748	-	**158,038**
სესხის გადაფასება	908,854	1,139,859	773,526	1,598	**2,823,837**
გადატანა საწესდებო კაპიტალში	(9,235,179)	-	-	-	**(9,235,179)**
31 დეკემბერი 2020	**-**	**9,652,336**	**8,396,938**	**39,176**	**18,088,450**

	დაკავშირებული მხარეები	დაკავშირებული მხარეები * გადაანგარიშებული	სს "საქართველოს ბანკი"	ფინანსური იჯარა	სულ
31 დეკემბერი 2018	**4,477,799**	**5,014,357**	**3,627,600**	**164,462**	**8,806,419**
ფულადი ცვლილებები					
სესხის მიღება	-	-	3,639,351	-	**3,639,351**
პროცენტის გადახდა	-	-	(627,861)	(31,030)	**(658,891)**
ძირის გადახდა	-	-	(558,501)	(56,686)	**(615,187)**
არაფულადი ცვლილებები					
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	570,541	638,907	630,943	15,785	**1,285,635**
სამართლიანი ღირებულებით სესხის საწყისი აღიარების კორექტირება	-	-	46,444	-	**46,444**
საგადასახადო ვალდებულება	-	-	-	2,988	**2,988**
სესხის გადაფასება	338,977	363,786	(77,558)	9,234	**295,462**
31 დეკემბერი 2019	**5,387,317**	**6,017,050**	**6,680,418**	**104,753**	**12,802,221**

12. გადავადებული შემოსავალი

კომპანია 2017 წლიდან მონაწილეობს პროექტში "აწარმოე საქართველო". აღნიშნული პროგრამა მიმართულია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების და მხარდაჭერის, საწარმოების შექმნის ხელშეწყობის და არსებული საწარმოების განვითარებისკენ. პროგრამის ფარგლებში სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" კომპანიებს უფინანსებს საწარმოო შენობის ასაშენებლად და საწარმოო დანადგარების შესაძენად მიღებული სესხების პროცენტის ნაწილს. რადგან მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთზე დაბალია, კომპანია მიღებულ სარგებელს განიხილავს, როგორც სახელმწიფო გრანტს და წარადგენს, როგორც გადავადებულ შემოსავალს, რომელიც თავისმხრივ წარმოადგენს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის.

12. გადავადებული შემოსავალი (გაგრძელება)

ასევე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ხელშეკრულება ჰქონდა დადებული EBRD-თან, რომლის მიხედვითაც შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ, ახალი საწარმოს მშენებლობისთვის, კომპანიამ მიიღო გრანტი შეფასებული ინვესტიციის მაქსიმუმ 15%-ის ოდენობით, ღირებულებით 1,169,887 ლარი (381,058 ევრო).

გადავადებული შემოსავალი ამორტიზდება საწარმოო შენობის და დანადგარების მომსახურების ვადის პროპორციულად. გადავადებული შემოსავლის მოკლევადიანი წილი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 96,937 ლარსა და 96,937 ლარს, შესაბამისად.

გადავადებული შემოსავლის ნაშთი და პერიოდში ცვლილება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2020	2019
1 იანვარი	**1,780,232**	**1,877,169**
მატება	-	-
ამორტიზების ხარჯი	(96,937)	(96,937)
31 დეკემბერი	**1,683,295**	**1,780,232**

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,639,036	1,547,112
ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	1,804,919	-
გადასახდელი ხელფასები	335,953	161,317
	3,779,908	**1,708,429**
არა ფინანსური ვალდებულებები		
საკონტრაქტო ვალდებულება	199,463	35,981
	3,979,371	**1,744,410**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ვალუტის და ვადიანობის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

14. ამონაგები

	2020	2019
წყლის პროდუქტი პოლიეთილენის შეფუთვით	10,220,951	13,374,911
წყლის პროდუქტი მინის შეფუთვით	315,404	618,464
გაზირებული წყალი პოლიეთილენის შეფუთვით	3,067,066	1,568,026
გაზირებული წყალი მინის შეფუთვით	776,066	470,443
სხვა	-	15,041
	14,379,487	**16,046,885**

ადგილობრივი და ექსპორტის რეალიზაციები შეიძლება წარმოდგენლი იქნას შემდეგი სახით:

	2020	2019
ადგილობრივი	10,956,224	14,692,018
ექსპორტი	3,423,263	1,354,867
	14,379,487	**16,046,885**

კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელ ვალდებულებებს ასრულებს დროის გარკვეულ მომენტში.

15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
წყლის პროდუქტი პოლიეთილენის შეფუთვით	(6,096,818)	(7,846,369)
წყლის პროდუქტი მინის შეფუთვით	(280,594)	(698,331)
გაზირებული წყალი პოლიეთილენის შეფუთვით	(1,494,898)	(1,368,666)
გაზირებული წყალი მინის შეფუთვით	(780,434)	(746,944)
სხვა	-	(13,795)
	(8,652,744)	**(10,674,105)**

ადგილობრივი და ექსპორტის რეალიზაციების თვითღირებულება შეიძლება წარმოდგენლი იქნას შემდეგი სახით:

	2020	2019
ადგილობრივი	(6,642,730)	(9,958,512)
ექსპორტი	(2,010,014)	(715,593)
	(8,652,744)	**(10,674,105)**

16. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება*	(1,870,154)	(2,071,946)
ცვეთის ხარჯი	(895,696)	(836,275)
მარკეტინგის ხარჯი	(793,593)	(961,798)
საწვავის ხარჯი	(462,351)	(659,998)
საწყობების და მანქანების მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	(311,344)	(159,459)
საწყობების და მანქანების შენახვის ხარჯი	(193,540)	(355,504)
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(88,006)	(112,473)
სხვა	(455,428)	(68,669)
	(5,070,112)	**(5,226,122)**

* 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ სახელმწიფოსგან საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით მიიღო 215,391 ლარის შეღავათი. აღნიშნული თანხა წარდგენილია „სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა“ მუხლში.

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(1,825,352)	(1,643,281)
ცვეთა და ამორტიზაცია*	(1,458,371)	(702,932)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(522,690)	(427,015)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(368,486)	(318,276)
კომუნალური ხარჯი	(245,322)	(205,870)
საკონსულტაციო ხარჯი**	(163,344)	(166,236)
საწვავის ხარჯი	(130,326)	(157,254)
რემონტისა და შენახვის ხარჯები	(75,172)	(87,574)
ოფისის ხარჯი	(54,822)	(67,354)
დაზღვევის ხარჯი	(56,647)	(79,038)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	(102,466)	(74,133)
სხვა ხარჯი	(209,043)	(380,541)
	(5,212,041)	**(4,309,504)**

*ცვეთა და ამორტიზაცია მოიცავს წარმოებაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების ცვეთის ზენორმატიულ ხარჯს, დეტალურად იხილეთ შენიშვნა 5.

** აუდიტორული მომსახურების ხარჯმა 2020 წელს შეადგინა 40,773 ლარი (2019: 41,706 ლარი).

18. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გასწორდა 2019 და 2018 წლების შესადარისი პერიოდის ინფორმაცია. შესადარისი ინფორმაციის გასწორება მოხდა წინა პერიოდებში მიღებული სესხების სახელშეკრულებო პირობების ცვლილების შედეგად სესხის არასწორი რეკალკულაციის გამო.

წინა პერიოდის შეცდომების კორექტირებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი 2019	კორექტირება	31 დეკემბერი 2019 შეცვლილი
მოკლევადიანი მიღებული სესხები	5,443,015	629,733	6,072,748
დაგროვილი ზარალი	(53,620,095)	(165,769)	(53,785,864)
საპროცენტო ხარჯები	(1,269,070)	(68,366)	(1,337,436)
ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა	(319,113)	(24,809)	(343,922)

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	1 იანვარი 2019	კორექტირება	1 იანვარი 2019 შეცვლილი
გრძელვადიანი მიღებული სესხები	7,443,397	536,558	7,979,955
სხვა რეზერვი	4,160,007	(463,964)	3,696,043
დაგროვილი ზარალი	(47,791,813)	(72,594)	(47,864,407)

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი

გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი

დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	კავშირი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		**933,588**	**944,997**
შპს "კოლხური ნობათი"	სხვა დაკავშირებული მხარე	850,278	856,008
შპს „მეღვინეობა ხარება“	სხვა დაკავშირებული მხარე	17,778	31,635
შპს "ხევი"	სხვა დაკავშირებული მხარე	65,532	57,354
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		**88,310**	**-**
შპს „მეღვინეობა ხარება“	სხვა დაკავშირებული მხარე	88,310	-
მიღებული სესხები		**-**	**6,017,049**
შპს "პალმს ჰოლდინგ"	სხვა დაკავშირებული მხარე	-	6,017,049

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

	კავშირი	2020	2019
ამონაგები		**44,278**	**92,761**
შპს "მეღვინეობა ხარება"	სხვა დაკავშირებული მხარე	20,604	46,546
შპს "პარკ ჰოტელი"	სხვა დაკავშირებული მხარე	23,674	46,215
საპროცენტო ხარჯი		**791,985**	**638,907**
შპს "პალმს ჰოლდინგ"	სხვა დაკავშირებული მხარე	791,985	638,907

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 403,269 ლარი და 390,192 ლარი 2020 და 2019 წლებისთვის, შესაბამისად.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ 2021 წელს გააფართოვა საექსპორტო ბაზარი, კერძოდ საკუთარი პროდუქტი გაიტანა უკრანაში, კანადასა და აზერბაიჯანში.

ასევე, 2021 წლის აპრილში კომპანიამ დაასრულა „სნოს“ ქარხნის ახალი ჩამოსასხმელი ხაზით აღჭურვა, რომლის სამუშაოებიც დაწყებული ჰქონდა 2020 წელს და 2021 წლის მაისის თვიდან ბაზარზე გაიტანა არომატიზირებული (არაგაზირებული) წყალი საზამთრო-ნესვის და ვაშლის არომატით.

2021 წელს მოხდა დამატებით კაპიტალის ზრდა დამფუძნებლების მიერ 4,944,672 ლარის(1,503,000 აშშ დოლარის) ოდენობით.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

კომპანიამ დამფუძნებლისგან მოიპოვა ოფიციალური წერილი, რომლის მიხედვითაც დამფუძნებელი მზად არის უზრუნველყოს ის დამატებითი ფინანსური რესურსებით კაპიტალში შენატანების სახით, რაც საჭირო იქნება კომპანიის საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

22. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით, ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	*ევრო*
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასების“ მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების ფასს 9-ის მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

22. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. დამატებითი ინფორმაცია ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-3 და მე-7 შენიშვნებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები არიან ისეთი ერთეულები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია უკვე განსაზღვრული თანხის ფულად ერთეულებად და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასების“ მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. კომპანიამ შეაფასა რომელი ბიზნეს მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულბებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს უცვლელი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

22. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება „სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა“ კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	ცვეთა არ ერიცხება
დაუმთავრებელი მშენებლობა	ცვეთა არ ერიცხება
შენობა-ნაგებობები	10-40
მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობები	2-37
სატრანსპორტო საშუალებები	2-7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

22. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, შრომის ანაზღაურება, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

მარაგების თვითღრებულება გამოითვლება FIFO მეთოდით, საწყობების მიხედვით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი.

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შევსებულია კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

სხვა რეზერვი

სხვა რეზერვი შედგება სარგებლისგან, რომელიც კომპანიამ მიიღო დაკავშირებული მხარისგან უპროცენტო სესხის მიღების შედეგად, რაც წარმოადგეს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის.

გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით აღიარდება მაშინ, როცა არსებობს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ:

ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტები არ უნდა აღიარდეს მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს და გრანტი იქნება მიღებული.

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით და არ არის გრანტი გამოქვითული აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად.

გრანტი, რომელიც გადავადებულ შემოსავალშია აღიარებული, აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

აქტივების შეძენა და შესაბამისი გრანტების მიღება აღიარდება ცალკე მუხლების სახით ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში.

22. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა“. ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვითება შესაბამისი ხარჯებიდან.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისთვის შემდეგი სახის პროდუქციის მიწოდება - წყალი პოლიეთილენისა და მინის შეფუთვით, გაზირებული წყალი პოლიეთილენისა და მინის შეფუთვით.

კომპანიის პოლიტიკა ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის მოცემულია ქვემოთ:

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მოიცავს პოლიეთილენისა და მინის ბოთლებში ჩამოსხმული გაზირებული და არაგაზირებული წყლის გაყიდვებს. ამონაგები საქონლის გაყიდვიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების ნაწილის გადახდა ხდება ავანსად, ხოლო დარჩენილი ნაწილისა დაუყოვნებლივ, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამ სახის შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ფასი ასევე მოიცავს ფასდათმობებსა და სარეკლამო ხარჯებს, მაგ. მაღაზიაში პროდუქციის სხვაზე უპირატესად განთავსების ხარჯები. კომპანია ამონაგებს აღიარებს ამ ხარჯების შემცირებული ღირებულებით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქცია შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

22. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისგან განსხვავებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება ეფექტური პროცენტის საფუძველზე.

სახელფასო და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის პერიოდის განმავლობაში. მიღებული საიჯარო შეღავათების აღიარება ხორციელდება, როგორც სრული საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

22. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

- კანონმდებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

22. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „აქვა გეო“

2020

შინაარსი:

1. კომპანიის მიმოხილვა და საქმიანობის სფერო 39
2. სამომავლო განვითარების გეგმა....390
3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ 390
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიების მიმოხილვა 390
5. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 401
6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა 412
7. დამატებითი განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ 412
8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 423

1. კომპანიის მიმოხილვა და საქმიანობის სფერო

შპს "აქვა გეო" დაფუძნდა 2009 წელს. კომპანიის მიზანი იყო ქართული უნიკალური წყლის პოპულარიზაცია, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

კომპანია თავის თავში აერთიანებს ქართულ საქმესა და სურვილს, საკუთარი წვლილი შეიტანოს ქართული ეკონომიკის განვითარებაში. კომპანიამ წლების მანძილზე დაასაქმა მრავალი ქართული ოჯახი.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქტის ხარისხი შეესაბამებოდეს მომხმარებლის მოთხოვნებს, რაც თავისთავად გულისხმობს ტექნოლოგიური პროცესების სისტემურ და პერმანენტულ განახლება-გაუმჯობესებას.

კომპანიაში ყოველი თანამშრომელი თავისი კომპეტენციისა და პიროვნული თვისებების მიხედვით შეირჩა. საწარმოს პერსონალმა გაიარა სასწავლო კურსი ფრანგი და იტალიელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში 350 თანამშრომელი მუშაობდა (2019 : 300-ზე მეტითანამშრომელი).

კომპანია დღეის მდგომარეობით ფლობს ორ მოქმედ ქარხანას.

კომპანიამ 2011 წელს დაასრულა საწარმოს მშენებლობა მცხეთის რაიონ სოფ. მისაქციელში. ამ ქარხანაში იწარმოება დაფასოებული ნატურალური მინერალური წყალი სახელწოდებით „სნო“ სხვადასხვა ფორმატში.

კომპანია მონაწილეობას იღებს ტენდერებში და 19 ლიტრიანი ბალონებითა და დისპენსერებით ამარაგებს სახელმწიფო სტრუქტურებებს, კომერციულ ბანკებს და სხვა მსხვილ ორგანიზაციებს. ამ მომსახურებით და პროდუქტით სარგებლობა საცალო ბაზრის წარმომადგენლებზეც ვრცელდება.

2016 წელს კომპანიამ დაიწყო ყაზბეგის რაიონ სოფელ კობში მინერალური წყლის ქარხნის მშენებლობა, 2018 წლის მაისში დასრულდა ქარხნის მშენებლობა, ხოლო ივლისის თვეში კი ახალი გაზირებული მინერალური წყალი “კობი” გამოჩნდა ბაზარზე.

შპს „აქვა გეო“ აქტიურად ეძებს ახალ ასათვისებელ ბაზრებს ქვეყნის გარეთ. დღეის მდგომარეობით პროდუქცია ექსპორტზე გადის შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ყაზახეთი, რუსეთი, ლიტვა. 2021 წელში კი ქვეყნების ჩამონათვალს დაემატა კანადა და ბელორუსიაც. ასევე ვიმედოვნებთ, რომ მინერალური წყალი „კობი“ თავის გზას ევროპაში წარმატებით გაიკვლევს, რადგან ნესტლეს ჯგუფის წამყვანი იტალიელი ტექნოლოგის მიერ დამუშავებული და მიღებული გემო ძალიან ჰგავს ევროპაში ყველაზე პოპულარულ მინერალურ წყლებს.

2. სამომავლო განვითარების გეგმა

წყლის ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია. ძირითად დაბრკოლებასა და მიზანს კომპანიისთვის კვლავ წარმოადგენს ბაზრის წილის გაზრდა. ჩვენი აზრით, ეს შესაძლებელია მხოლოდ გაზრდილი ასორტიმენტით და დაბალი მინერალიზაციის წყლის ცნობადობის ამაღლებით.

სწორედ ამიტომ, 2020 წლის მარკენტინგული აქტივობები ძირითადად მიმართული იყო მინერალური წყალი „კობის“ რეკლამირებაზე. გაზირებული მინერალური წყალი „კობი“ პირველი დაბალმინერალიზირებული (<3 გ/ლ) წყალია ქართულ ბაზარზე და არის განსაკუთრებული ტექნოლოგიით (ცივი კარბონიზაცია) დამზადებული. ევროპის ბაზრისთვის მიღებულია 3 გ/ლ ზე დაბალი მინერალიზაციის მქონე მინერალური წყალი, ხოლო საქართველოს ბაზარზე არსებული პოპულარული მინერალური წყლების მინერალიზაცია აღემატება 3 გ/ლ-ს. ამიტომ, მას შეუძლია რომ კონკურენცია გაუწიოს ქართული მინერალური წყლის ბაზარზე მოთამაშე სხვა კომპანიებს როგორც ადგილობრივ, ისე ექსპორტის ბაზრებზე.

ასევე, 2021 წლის მაისის თვიდან შპს „აქვა გეომ“ ახალი, ჯანსაღი პროდუქტების მიმართულების ფარგლებში, ქართულ ბაზარზე გამოიტანა არომატიზირებული(არაგაზირებული) წყალი საზამთრო-ნესვის და ვაშლის არომატით, რომელიც კარგად მიიღო ქართულმა ბაზარმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიის ყველა ქმედება მიმართულია შპს „აქვა გეოს“ ბაზრის წილის გაზრდისთვის, როგორც საქართველოს ისე მის ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე. მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი კი არის პროდუქციის ხარისხი და სწრაფი მიწოდების უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით კომპანიის ხელმძღვანელობამ 2020 წელს დაიწყო „სნოს“ ქარხნის ახალი ჩამომსხმელი ხაზით აღჭურვა და 2021 წლის აპრილის თვეში აამუშავა. ასევე, მოახდინა არსებული გამოთავისუფლებული ხაზის მოდერნიზაცია არომატიზირებყლი წყლის კუთხით. აღნიშნული ახლი ხაზი მაღალი წარმადობისაა და შედგება მსოფლიო წამყვანი მწარმოებლების უახლესი მოდელის დანადგარებისაგან. ეს კომპანიას საშუალებას მისცემს მომავალში აწარმოოს ხარისხიანი, სტანდარტების შესაბამისი, ორჯერ მეტი პროდუქცია.

ასევე ამ მიმართულებით კომპანიამ დაგეგმა პროდუქციის რებრენდიგი, რაც გამოიხატება ლოგოტიპების, ეტიკეტების დიზაინის ცვლილებაში და ახალი პროდუქტის, კერძოდ 750ლ. შუშის ბოთლის დამატებაში.

2020 წელს კოვიდ 19-ით გამოწვეულმა შეფერხებებმა, კერძოდ, ვირუსის გავრცელების პრევენციიდან გამომდინარე საქართველოსა და სხვა ქვეყნებში დაწესებულმა შეზღუდვებმა შეაფერხა 2020 წლის გაყიდევბის გეგმის შესრულება. თუმცა, მიუხედავად იმისა რომ 2021 წელს შეზღუდვების მოხსნა სრულად არ მოხდა, კომპანიამ დაძლია აღნიშნული კრიზისული პერიოდი და 2020 თან შედარებით საგრძნობლად გაზარდა შემოსავლები და გააფართოვა ოპერაციები, როგორც პროდუქტების დამატებით, ასევე ახალ ბაზრებზე შესვლით.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიის საქმიანობის სფერო არის წარმოება და დისტრიბუცია. სადისტრიბუციო ქსელი მოიცავს როგორც მცირე ზომის კომპანიებს, ასევე ქსელურ მარკეტებს, კომერციულ ბანკებს და საფინანსო და საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

წინა პერიოდების გამოცდილებამ აჩვენა, რომ გარკვეულ რეგიონებში საწყობების შენახვა ძალიან დიდ ლოგისტიკურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, 2018 წელს კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დაიწყო დილერებთან მიწდების პროცესის გადაბარება. აღნიშნული პროცესის გეგმა-გრაფიკი ეტაპობრივად გაიწერა 2018-2019 წელზე და 2020 წლის დასაწყისში დასრულდა საქართველოს მთელი ტერიტორიის ფარგლებში, მათ შორის ქსელური ვიპ მარკეტებში, კომაპნიის პროდუქციის მიწოდების პროცესის გადაბარება.

ამ ეტაპზე კომპანია სრულად ინარჩუნებს 19 ლიტრიანი ბალონებით და დისპენსერებით სადისტრიბუციო საქმიანობას მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანია ოპერაციებს ახორციელებს ორი მთავარი საწარმოს (სოფ. მისაქციელი და სოფ. კობი) მეშვეობით.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიების მიმოხილვა

2020 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

არაფინანსური მაჩვენებლები:

არაფინანსური მაჩვენებლები:

შპს „აქვა გეოს“ ძირითადი მისია და პოლიტიკა მაღალი ხარისხია და აქვს პრეტენზია, რომ ყველაზე სანდო მწარმოებელია ქართულ ბაზარზე. წლების მანძილზე კომპანია ფლობს არაერთ აღიარებასა და შესაბამისობის სერთიფიკატს. 2020 წლის სერთიფიცირების წარმატებით გავლაც, სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია.

თანამშრომლების კეთილგანწყობა და მათზე ზრუნვა ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის სიძლიერისთვის, ამიტომ საშუალოზე დაბალი შემოსავლის თანამშრომლები კომპანიაში უფასო კერძო დაზღვევით სარგებლობენ.

დღეის მდგომარეობით კომპანია ფლობს როგორც მინერალური, ასევე მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზიებს.

ბრენდის რეპუტაცია წლიდან წლამდე იზრდება. შპს „აქვა გეოს“ პროდუქტები ცნობილია ხარისხით და მომხმარებელთან რეგულარული უკუკავშირის საშუალებით მუდმივად ამართლებს მათ მოლოდინს.

კონკურენტუნარიანობა - ჩვენი კომპანია, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა იმისთვის, რომ უფრო კონკურენტული მოთამაშე გამხდარიყო ქართულ და არამხოლოდ ქართულ ბაზარზე და ვფიქრობთ, ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით ბევრად გაუმჯობესდა.

ინოვაცია - „კობი“ თავისი თვისებებით და გემოთი პირველია ბაზარზე. კომპანიის ახალი პროდუქტები კი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, დარწმუნებულები ვართ, შპს „აქვა გეოს“, როგორც ინოვატორს ისე წარმოაჩენს ბაზარზე.

კვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლები - ძლიერი ადამიანური რესურსების სამსახური, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათ სამოტივაციო პოლიტიკაზე მუდმივი ზრუნვა ჩვენი მიზანია.

საკუთარი IT სისტემები - ისინი სპეციალურად დაიწერა კომპანიისთვის და არის სრულად მორგებული მიმდინარე პროცესებზე. ეს კი აუმჯობესებს და ამარტივებს საქმიანობის პროცესს. IT სისტემები შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის, შეუსაბამობების მართვისა და შესყიდვების მართვისათვის.

5. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ფინანსური მაჩვენებლები

კოეფიციენტი	2020	2019	კომენტარი
მთლიანი მოგების ნორმა=საერთო მოგება/შემოსავალი*100%	39.83%	33.48%	2020 წლის განმავლობაში კომპანიის საწარმოო დანადგარები არ მუშაობდა სრული დატვირთვით, რის გამოც ცვეთისა და სხვა ზედნადები ხარჯების ნაწილი არ გადანაწილდა წარმოებული მარაგების თვითღირებულებაზე. დანდაგარების მოცდენის ცვეთის წილი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში 1,051,449 ლარის ოდენობით. სწორედ ამან გამოიწვია კოეფიციენტის წინა პერიოდთან შედარებით ზრდა.
მიმდინარე თანაფარდობა = მოკლევადიანი აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	1.03	1.44	ამ მაჩვენებელის გაუარესება ძირითადად გამოიწვია ახალი საწარმოო ხაზის შეძენით გამოწვეულმა კრედიტორული დავალიანების გაზრდამ.
დებიტორული დავალიანების შეგროვების სიჩქარე =სავაჭრო და სხვა მოთხოვნები/შემოსავლები*365	63.91	68.13	ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა 2019 წელთან შედარებით. 2019 წელს თუ იყო დაახლოებით 68 დღე, 2020 წელს 63 დღეა. ეს განპირობებულია იმით, რომ კომპანია გამუდმებით მუშაობს დებიტორული დავალიანების შეგროვების მაჩვენებლის გაუმჯობესებასა და პროცედურების დახვეწაზე,
კრედიტორული დავალიანების გადახდის სიჩქარე =სავაჭრო და სხვა ვალდებულებები/მარაგები*365	322.07	153.85	ეს კოეფიციენტი წინა, 2019 წელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია, ვინაიდან ახალი ხაზის შეძენამ გამოწვია კრედიტორული დავალიანების საგრძნობი ზრდა.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

7. დამატებითი განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ფინანსური ანგარიშგება

იქიდან გამომდინარე, რომ 2020 წელს კომპანიამ შეიძინა ახალი საწარმოო ხაზი და ეპიდ-სიტუაციამ გაახანგრძლივა მისი მონტაჟი - ის დასრულდა 2021 წელს, შესაბამისად, დავალიანების დაფარვაც სრულად მოხდა 2021 წელს. კომპანიაში საგრძნობლად გაიზარდა კრედიტორული დავალიანება და მასთან დაკავშირებული ფინანსური მაჩვენებლები აღნიშნული ფაქტის გამო. ამასთან დაკავშირებით არის გაზრდილი მიღებული სესხების ნაშთიც, რომელიც მოიცავს დანადგარების მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისთვის ბანკისგან აკრედიტივის სახით თანხების მიღებას.

მოგება ზარალის ანგარიშგება

2020 წელს კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი - 8,765,687 ლარის ოდენობით. ასევე, მოგება გადასახადებამდე, პროცენტის გადახდამდე და ცვეთის დარიცხვამდე EBITDA-ც ზარალიანი აქვს. ეს განპირობებულია იმით, რომ ეპიდ-სიტუაციიდან გამომდინარე შემცირდა რეალიზაცია, ხოლო კომპანიამ არ შეამცირა დასაქმებულთა ხელფასები (მხოლოდ აპრილის თვეში მოხდა შემცირება). შესაბამისად მოხდა ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა შემცირებული შემოსავლების ფონზე. გარდა ამისა, „კობის“ პროდუქტის დამატებამ და საწარმოს ამუშავებამ (2018-დან) მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის ადმინისტრაციული, კომერციული და სახელფასო ხარჯები, რაც აისახა 2019-2020 წლის პერიოდის შედეგში.

მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ლარის სხვა ვალუტებთან მიმართებაში გაუფასურებამაც. მიმდინარე წელს კომპაინამ მიიღო დიდი ოდენობით ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან.

7. დამატებითი განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ (გაგრძელება)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

გამომდინარე იქედან, რომ კომპანიამ 2018 წელს დაასრულა ქარხანის მშენებლობა, 2019 წელს მნიშვნელოვნად შემცირებულია ძირითად საშუალების შესაძენად გადახდილი თანხები.

გამომდინარე იქედან, რომ კომპანიამ 2019 წლის ბოლოსთვის გაზარდა საბრუნავი საშუალებების მარაგი, რომლის საფასურის დაფარვა მოხდა 2020 წელს, კომპანიას ჰქონდა თანხის გადინება. ამავე დროს შეიძინა ახალი საწარმოო ხაზი, რამაც გაზარდა საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული იფულადი სახსრები. რაც შეეხება ფინანსურ საქმიანობას, კომპანიას ჰქონდა სასესხო ვალდებულებების დასაფარად თანხების გასავალი. ამასთანავე, კომპანიამ აიღო დამატებითი სესხები ძირითადად აკრედიტივების სახით მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისთვის და გარკვეული თანხები დამფუძნებლებისგან, რომელიც მოგვიანებით კონვერტირდა კომპანიის კაპიტალში.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი, დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის ხელმძღვანელობამ დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კონტრაგენტს უკეთდება ანალიზი, სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ. კომპანიის ხელმძღვანელობა ყოველთვიურად მიმოიხილავს სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგენს დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შეფასებას (საჭიროების შემთხვევაში).

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი). ამ რისკის გასანეიტრალებლად ამ რისკის გასანეიტრალებლად კომპანიას ბერკეტი არ აქვს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის, კრედიტორულ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვისას საკონტრაქტო პირობების შესრულებისათვის, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე.

იქედან გამომდინარე რომ „სნო“ სეზონური პროდუქტია, კომპანიას ზემოთ აღნიშნული რისკების წინაშე შეიძლება დადგეს არასეზონურ პერიოდში.

რისკების გასანეიტრალებლად კომპანიამ გადადგა შემდეგი ნაბიჯები:

- შეიმუშავა ანგარიშსწორების სქემა (საცალო რეალიზაციების კრედიტორებთან დავალიანების 75%-ის გადახდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი კონსიგნაციით პირობის დაცვით, ხოლო დილერთან კონტროლდება კონსიგნაციის თანხის ოდენობა, რომელიც განსხვავდება სეზონის მიხედვით);
- გამოუშვა ახალი მინერალური წყალი „კობი“ და არომატიზირებული წყლები, რომლის გაყიდვებიც ნაკლებად არის დამოკიდებული სეზონზე.

გლობალური რისკი კოვიდ-19-ის სახით

კოვიდ-19 გლობალური პანდემიის ეფექტი 2020 წელს გავრცელდა ფართო სეგმენტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ დააწესა სხვადასხვა შეზღუდვები პანდემიასთან საბრძოლველად, მათ შორის მკაცრი იზოლაცია, კარანტინი, ბიზნესების დროებითი დახურვა და მომხმარებლებთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

მოთხოვნის შემცირებამ საქონელსა და მომსახურებაზე, კაპიტალის გაუმჯობესებისა და მშენებლობის ინვესტიციების ნაკლებობამ, საქონლისა და ფინანსური აქტივების საბაზრო ფასების შემცირებამ, კაპიტალისა და სასესხო ინსტრუმენტების და გლობალური ჯაჭვის მოშლით იმოქმედა ბიზნესის ყველა სექტორზე, მათ შორის ვაჭრობის სექტორზეც.

პანდემიის ეფექტი გამოიხატა პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებით, რაც ძირითადად უკავშირდება ქვეყანაში მობილობის შემცირებას.

კომპანიას პანდემიის პირობებში არ შეუწყვეტია ფუნქციონირება. არ შეფერხებულა მისი გაფართოების პროცესი. კომპანიამ ამ პერიოდში აქტიურად იმუშავა ექსპორტის ქვეყნებთან მოლაპარაკებებზე, საწარმოო პროცესის გაფართოების დაგეგმვაზე. წლის მეორე ნახევარში კი დაიწყო ფაქტორების გაუმჯობესება. კომპანია განაგრძობს ოპერირებას და ვერ ხედავს საწარმოს უწყვეტობის რისკს შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე:

- კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში გაზარდა პროდუქციის ასორტიმენტი და შევიდა ახალ საექსპორტო ბაზრებზე, როგორიცაა უკრაინა, კანადა, აზერბაიჯანი, რაც გაზრდის გაყიდვებს და დადებითად აისახება კომპანიის შედეგებზე. გარდა ამისა, კომპანიამ მიმოიხილა 2021 წლის დაგეგმილი და რეალური ბიუჯეტები, რაც მოიცავს შემოსავლებს ორივე ძირითადი პროდუქტისგან, რის მიხედვითაც რეალური შესრულებები აჭარბებს დაგეგმილს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ის ზარალი, რაც კომპანიამ მიიღო 2020 წლის კოვიდ-19 გლობალური პანდემიის აფეთქებიდან, მნიშვნელოვნად განეიტრალდა 2020 წლის ბოლოსა და 2021 წლის რეალურად მიღებული შედეგებით.
- 2021 წლიდან საქართველოში ასევე აქტიურად ადმინისტრირდება კოვიდ-19 ვაქცინები, რომელიც საშუალებად აძლევს ქვეყანას, რომ შეამციროს დაინფიცირების რისკები და მაქსიმალურად მოძლიერდეს იმ კრიზისიდან, რაც მოიტანა 2020 წლის კოვიდ-19 პანდემიამ. შესაბამისად, ეს დადებითად მოქმედებს ასევე მოსახლეობის მხრიდან პროდუქტზე მოთხოვნის ზრდაზე. ეს ასევე ნათლად ჩანს 2021 წლის პირველი კვარტლიდან. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა ელოდება, რომ ეს დაეხმარება შესაბამის სექტორს, რომ განაგრძლოს საქმიანობა არსებითი შეფერხებების გარეშე, როგორიც იყო 2020 წლის პანდემიის აფეთქების საწყისი ეტაპი.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ზურაბ გოზალიშვილი

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

მოთხოვნის შემცირებამ საქონელსა და მომსახურებაზე, კაპიტალის გაუმჯობესებისა და მშენებლობის ინვესტიციების ნაკლებობამ, საქონლისა და ფინანსური აქტივების საბაზრო ფასების შემცირებამ, კაპიტალისა და სასესხო ინსტრუმენტების და გლობალური ჯაჭვის მოშლით იმოქმედა ბიზნესის ყველა სექტორზე, მათ შორის ვაჭრობის სექტორზეც.

პანდემიის ეფექტი გამოიხატა პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებით, რაც ძირითადად უკავშირდება ქვეყანაში მობილობის შემცირებას.

კომპანიას პანდემიის პირობებში არ შეუწყვეტია ფუნქციონირება. არ შეფერხებულა მისი გაფართოების პროცესი. კომპანიამ ამ პერიოდში აქტიურად იმუშავა ექსპორტის ქვეყნებთან მოლაპარაკებებზე, საწარმოო პროცესის გაფართოების დაგეგმვაზე. წლის მეორე ნახევარში კი დაიწყო ფაქტორების გაუმჯობესება. კომპანია განაგრძობს ოპერირებას და ვერ ხედავს საწარმოს უწყვეტობის რისკს შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე:

- კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში გაზარდა პროდუქციის ასორტიმენტი და შევიდა ახალ საექსპორტო ბაზრებზე, როგორიცაა უკრაინა, კანადა, აზერბაიჯანი, რაც გაზრდის გაყიდვებს და დადებითად აისახება კომპანიის შედეგებზე. გარდა ამისა, კომპანიამ მიმოიხილა 2021 წლის დაგეგმილი და რეალური ბიუჯეტები, რაც მოიცავს შემოსავლებს ორივე ძირითადი პროდუქტისგან, რის მიხედვითაც რეალური შესრულებები აჭარბებს დაგეგმილს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ის ზარალი, რაც კომპანიამ მიიღო 2020 წლის კოვიდ-19 გლობალური პანდემიის აფეთქებიდან, მნიშვნელოვნად განეიტრალდა 2020 წლის ბოლოსა და 2021 წლის რეალურად მიღებული შედეგებით.
- 2021 წლიდან საქართველოში ასევე აქტიურად ადმინისტრირდება კოვიდ-19 ვაქცინები, რომელიც საშუალებად აძლევს ქვეყანას, რომ შეამციროს დაინფიცირების რისკები და მაქსიმალურად მოძლიერდეს იმ კრიზისიდან, რაც მოიტანა 2020 წლის კოვიდ-19 პანდემიამ. შესაბამისად, ეს დადებითად მოქმედებს ასევე მოსახლეობის მხრიდან პროდუქტზე მოთხოვნის ზრდაზე. ეს ასევე ნათლად ჩანს 2021 წლის პირველი კვარტლიდან. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა ელოდება, რომ ეს დაეხმარება შესაბამის სექტორს, რომ განაგრძლოს საქმიანობა არსებითი შეფერხებების გარეშე, როგორიც იყო 2020 წლის პანდემიის აფეთქების საწყისი ეტაპი.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი  ზურაბ გოზალიშვილი